

მურმან ქუთელია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

Murmank@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.80>

ქართველი და არაბი რომანტიკოსები სალიტერატურო ენის შესახებ

საკვანძო სიტყვები: ქართველი რომანტიკოსები, არაბი რომანტიკოსები, სალიტერატურო ენა

სალიტერატურო ენის შესახებ და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე საკმაოდ დასაბუთებულ აზრებს გამოთქვამენ ქართველებიდან გრიგოლ ორბელიანი და ალექსანდრე ორბელიანი, არაბთა მხრიდან ჯიბრან ხალილ ჯიბრანი. მათი ნააზრევის მიხედვით სალიტერატურო ენის სიცოცხლე, მისი გამოყენება იყო, არის და მუდამ იქნება დამოკიდებული შემოქმედ ადამიანებზე, განსაკუთრებით მწერლებზე და პოეტებზე. პარალელურად ხაზს უსვამენ დიალექტების როლს და ევროპული და სხვა ენების გავლენებს, სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში მისი გამოყენების არეალს და ა. შ.

დავიწყოთ ქართველი რომანტიკოსები. მათი ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებები ძირითადად 30-იანი წლებიდან ყალიბდება. რადგან ბეჭდვითი ორგანოები მაშინდელ საქართველოში არ არსებობდა, სადაც შეიძლებოდა თავიანთი თეორიული შეხედულებები დაეფიქსირებინათ, პარალელურად უმეტესს არც ცხოვრებისეული პირობები ჰქონდათ (მაგ. ნიკოლოზ ბარათაშვილი), არც დრო და ა.შ. გარდა ამისა ჩვენი რომანტიკოსები პოეტები იყვნენ და არ ჰქონდათ სათანადო სირღმისეული განათლება, რომელიც ასე საჭიროა თეორიული შეხედულებების გამომუშავებისთვის. ამიტომ მათი ლიტერატურულ-ესთეტიკური ნააზრევი ძირითადად მათ ლექსებში და პირად მიმოწერებში შეიძლება ამოვიკითხოთ.

XIX ს-ის 30-იანი წლებში ლიტერატურული ცხოვრება ნელნელა იწყებს გამოცოცხლებას. ნიკოლოზ ბარათაშვილი 1841 წ. წერდა: „ლიტერატურა ჩვენი, ღვთით, დღე და დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი ... მყუდროებაში და მარტოობაში, შეეწევინ მამულს ენას, რაოდენიცა ძალუძთ. ეს საზოგადო სული ბუნებითი ენის ტრფიალებისა ... აღმოაჩენს, რომ ქართველთ არ სძინავს გონებით!“ (ქართველი რომანტიკოსები ..., 1980: 7). უპირველესად დავიწყოთ გრიგოლ ორბელიანით (1804-1883). ილია ჭავჭავაძემ ასე დაახასიათა მისი პიროვნება და შემოქმედება: „თვითმპყრობელი ქართული ენისა“, „მეუფე ქართული სიტყვისა“, „სიტყვამაღალი მოძღვარი.“ მიუხედავად იმასა, რომ გრ. ორბელიანი რუსეთის იმპერიის სამსახურში იდგა, ყოველთვის იყო ეროვნული იდეების და ქართული ენის ქომაგი. ილიას სიტყვებიც ამის დასტურია. ქართველი ახალგაზრდები ცოტა ზერელედ ეკიდებოდნენ მშობლიურ ენას. ამ ფაქტით შეწუხებული, წერდა: „ენა არის შემნახველი მამა-პაპის ყოფაცხოვრებისა, მათი სარწმუნოებისა, ჩვეულებებისა, ესე იგი, თვით ისტორია! თუ კაცმა არ იცის მამა-პაპის ენა,

მაშ, როგორ უნდა იცოდეს, ვინ იყვნენ მისი მამა-პაპები, რას ლაპარაკობდნენ, რას იმღეროდნენ, რა უხაროდათ, რასა ჰსწუხდნენ? ათასი წლის განმავლობაში როგორ ებრძოდა ეს პატარა საქართველო სპარსთა, არაბთა, ოსმალთა, იმ მტრებსა, რომელთაც აწ ებრძვის დიდი იმპერატორი დიდის რუსეთისა და უძნელდება ბრძოლა ... სპარსელებს ქეთევან დედოფლის გულზე ცეცხლი აანთეს და ისე ტანჯვით მოკლეს და არ უარყო მან ქრისტიანობა!“ (ქართული ენა და ლიტ. XI კლასი, 2020: 18). ის ვერ ურიგდებოდა საქმის წარმოებას მკვიდრი მოსახლეობისთვის გაუგებარ ენაზე: „რას იტყოდა რუსი ხალხი, მოსკოვში რომ ინგლისურ ენაზე გაემართათ სასამართლოები?“ - ეკითხებოდა თავის ერთ-ერთ მეგობარს, მასკის (იქვე). არ გვინდა უყურადღებოდ დავტოვოთ გრ. ორბელიანის დამოკიდებულება სწავლა-განათლებისადმი. თავის ძმისწულისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში ის უსაბუთებს ძმისწულს, რაც შეიძლება გულმოდგინედ ისწავლოს ევროპაში, ღრმა განათლება მიიღოს და ამით ყველაზე დიდ სამსახურს გაუწევს სამშობლოს: „... დარწმუნდა მთელი ქვეყანა, რომ უსწავლელი კაცი თითქმის რომ უსარგებლოა, გამოუსადეგარი არსებაა? ... რასაკვირველია, ერთი-და დაგვრჩენია, ვისწავლოთ და ვისწავლოთ, დროის მოთხოვნილებას რომ არ ჩამოვრჩეთ!...“ (გრ. ორბელიანი, ტ.1, 2013: 313). საქმისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ ათქმევინა მას ისეთი ზოგადსაკაცობრიო სიტყვები, როგორიცაა: „მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თავყანისცემა ღირსებას! / ნიჭს აძლევს ზენა კაცს და არა გვარის-შვილობას!“ („სადღეგრძელო“). ასეთი შეხედულების კაცს არ შეიძლებოდა აქტიური მონაწილეობა არ მიეღო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებაში.

ლექსში „პასუხი შვილთა“ გრ. ორბელიანი წერს: „ერის ცხოვრება / მისი დიდება, / მის ისტორია დაცულ არს ენით; / რა ენა წახდეს, / ერიც დაეცეს .../ წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას...“ სალომე მიურატისადმი 1877 წელს მიწერილ წერილში პოეტი ამბობს: „ვისაც არ უყვარს თავის სამშობლო ენა, მას უეჭველია არ უყვარს თავის მშობელნიცა, თავის წინაპარნიცა, თავის მამულსა ენა არს შემნახველი მამა-პაპის ყოფა-ცხოვრებისა, მათი სარწმუნოებისა, ჩვეულებისა, ესე იგი თვით ისტორიისა. ...“ და პოეტი მაღლიერებით მიმართავს სალომეს: „... ჩემო სალომე, ქართული ენა არ არის ისე დავრდომილი, როგორცა ჰგონიათ ეხლანდელთა ინსტიტუტკელებსა, ამისთვის დაგიკოცნი გონიერს შუბლსა, რომ შენ ხარ პირველი მაგალითი ქართული ენის სურვილით სწავლებისა...“ (ქართველი რომანტიკოსები..., 1980: 106).

აქვე ვიტყვით, რომ გრ. ორბელიანმა ერთ-ერთმა პირველმა ხაზი გაუსვა კრიტიკის ქონის აუცილებლობას: „და რადგანაც არა რომელსამე ხელოვნებას, ანუ საქმეს, არ მიეცემა უკეთესობა, თუ კრიტიკა არ მიეშველება მას და ცხადად არ აჩვენებს ნაკლულეფანებასა, ანუ ურიგობასა...“ (ქართველი რომანტიკოსები, 1980: 87).

საინტერესოა ალექსანდრე ორბელიანის (1802-1869) მიერ გამოთქმული მოსაზრებები ქართული სალიტერატურო ენის პრობლემების შესახებ. მან 1860 წელს ჟურნალ ცისკრის მეექვსე ნომერში გამოაქვეყნა წერილი „ქართული უბნობა ანუ წერა“, სადაც მან წამოაყენა ერთი ენით წერის მოთხოვნა. ის წერს: „ქართული ენის თვისებას რომ ერთიც ზედ დაუმატოთ, სამით გაიყოფება: პირველი საღმრთო წერილად ანუ ეკლესიურად, მეორე მდაბიურად ანუ დარბაისელთ უბნობად და მესამე გლეხ-კაცების ენად“ (ქართველი რომანტიკოსები..., 1980:149). ავტორი დეტალურად განიხილავს ქართული ენის ამ სამ სახეობას და უკეთებს დამაჯერებელ ანალიზს. მას ფსალმუნიდან მოყავს მოკლე ტექსტი და ამ ტექსტს წარმოგვიდგენს საეკლესიო, საშუალო (დარბაისლურ) და გლეხ-კაცის ენაზე.

მათი ანალიზის საფუძველზე ის აცხადებს, რომ საეკლესიო ენაზედ წერა მეტად რთული გასაგები იქნება ადამიანების უმრავლესობისთვის, ხოლო გლეხ-კაცურ ენაზე წერა ზედმეტად მარტივი და მიუღებელი. საბოლოოდ ის ამ სამთაგან უპირატესობას აძლევს საშუალოს, დარბაისელთა ენას, როგორც ყველასთვის გასაგებს, რადგან მისით როგორც იწერება, ისე ლაპარაკობენ. მას დარბაისულ ენაზე დაწერილ ნაწარმოებებად მიაჩნია ქართული მხატვრული ლიტერატურის ის ნიმუშები, როგორებიცაა „რუსუდანია“, „ვისრამიანი“, „სიბრძნე-სიცრუისა“ და, რაც მთავარია, „ვეფხისტყაისანი“. ის დაასკვნის: „ეს სამი სიტანასწორე ერთი-ერთმანეთისაგან რო გაირჩეს რომელი სამჯობინარია საზოგადოებისათვის, ჩემი აზრით, ჩვენი საშუალო ენა უნდა დაიდოს...“ (ქართველი რომანტიკოსები..., 1980: 150-152) და თავმდაბლობით აცხადებს: „... თუმცა ჩემი აზრით მე ასე ვამტკიცებ, მაგრამ ნურავის ნუ ეგონება ... რაცა ვსთქვი უთუოდ ასეა მეთქი. არა რასაც ვამბობ იქნება ასე არ იყოს და უფრო სხუა გუარად იყოს.“ (ქართველი რომანტიკოსები..., 1980: 152).

თუ თემას ცოტათი გადავუხვევთ, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ალექსანდრე ორბელიანმა ერთ-ერთმა პირველმა წამოჭრა ქართული კრიტიკის განვითარების აუცილებლობის საკითხი. მოგვიანებით 1872 წ. მამია გურიელი (1836-1891) წერილში „წიგნი რედაქტორთან“ იტყვის: „ღვთის შეწევნით ჩვენში არიან ყოველგვარი და საკმაოდ ნიჭიერიც მწერლები, მხოლოდ ძლიერ გვეძვირება კარგი კრიტიკოსი“ (ქართველი რომანტიკოსები..., 1980: 49). მხოლოდ 15 წლის შემდეგ მწვავედ დასვამს ამ საკითხს ილია ჭავჭავაძე სტატიაში „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არ გვაქვს.“

ალექსანდრე ორბელიანმა პირველმა ყურადღება მიაქცია ქართული მუსიკის სპეციფიკას და დააყენა საკითხი ქართული ხალხური მუსიკის შეკრების და ნოტებზე გადატანის აუცილებლობა. რამდენიმე წლის შემდეგ ილია ჭავჭავაძე სტატიაში „ქართული ხალხური მუსიკა“ დააყენებს ამ საჭირობოროტო საკითხს.

ალ. ორბელიანმა დადებით მოვლენად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ჩამოყალიბებას იწყებდა კონსერვატიული და პროგრესისტული იდეები (ალბათ აქ იგულისხმება მამათა და შვილთა ბრძოლა), მიესალმა მას და განაცხადა: „მართლა ეტყობა, რომ ორი დასი იბადება, კარგი ნიშანია. ეს ის არის, წინ მივდივართ და უკან არ ვრჩებით... კარგს ამბავისას ძველისას პატივი უნდა ვცეთ და ახლანდელს განათლებას თაყვან ვსცემოთ. ოღონდ კარგი რამ ითქვას, რომ საზოგადოს ზნეობისას გასაკეთებელი იყოს, გონების სინათლის მიმცემი და ქვეყნის სასარგებლო...“ (ქართველი რომანტიკოსები, 1980: 164).

ალ. ორბელიანი ნარკვევში „ქართული ენისათვის“ (დაიბეჭდა 1856 წ.) მწარედ შენიშნავს, რომ ქართული საზოგადოება გულგრილად ექცევა და ეზარება თანხის გაღება ჟურნალ „ცისკრის“ გამოსაწერად და გასავრცელებლად, რომელიც ერთადერთია ქართულ ენაზედ და მისი ხელშეწყობა ყველა განათლებული ადამიანისთვის აუცილებელია. „...ეს მცირედი წერილი ამისათვის გამოიცა ასე ადრე, რომ წავიკითხოთ რა არის ჩვენი ენა და რა ძალა აქვს....მეტად უსურველათა ვართ, ჩვენი მამა-პაპის შენახულს ჩვენს ენაზედ ... მაგრამ ხელის მომწერნი კი არა სჩანან მაგდენი არც ერთი მხრივთგან ... თუ ხელის მომწერნი არ იქნებიან, რის ღონისძიებით უნდა გამოიცეს ჟურნალი? და თუ ჟურნალი არ გამოიცა, რომლის საშუალებით გამშვენიერდა ჩვენი ენა ... „ (ქართველი რომანტიკოსები..., 1980: 132)

ვახტანგ ორბელიანი (1812-1890) მწვავედ უპირისპირდება აღმოსავლური მოტივების მოძალეებას ქართულ ლიტერატურაში, რითაც არსებითად გვევლინება ქართული ენისა და პოეზიის ჭეშმარიტ დამცველად. მისთვის მიუღებელია მუხამბაზის ენა და ლექსი,

როგორც უცხო სხეული ქართულისთვის. ყოველმა ქართველმა შემოქმედმა უნდა ეცადოს თავისი შემოქმედებიდან უცხოური ლექსიკისა და მოტივების განდევნას და მხოლოდ და მხოლოდ „რუსთაველის ენით“ უნდა შექმნას ლექსები.

ორიოდე სიტყვით გვსურს შევჩერდეთ სოლომონ დოდაშვილის (1805-1836) მცირე მოცულობის ნარკვევზე „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“ (ქართველი რომანტიკოსები, 1980: 64-69) (დაწერილია დაახლოებით 1832 წ.) და ამით დავამთავროთ საუბარი ქართველი რომანტიკოსების შეხედულებების შესახებ სალიტერატურო ენაზე. როგორც ჩანს ამ პატარა ნარკვევის დაწერისკენ უბიძგა მას სომხების მიერ გავრცელებულმა მტკიცებამ, რომ ქართული ენა წარმოდგარია სომხური ენისგან. სომხები ეყრდნობიან გავრცელებულ ლეგენდას, რომლის თანახმად სომხები და ქართველები წარმოშობილი არიან თარგამოსისგან, მფლობელისა ამიერკავკასიის მხარისა. მან თავის ვაჟებს განუყო ეს მხარე, ჰაოსს მისცა სომხეთი, ქართლოსს კი ქართლი.. ჰაოსი იყო უფროსი, უმცროსი ქართლოსი. აქედან გამომდინარე, მათი აზრით, სომხურისგან მომდინარეობს ქართული ენა. გარდა ამისა, თითქოს თვით ადამი სომხურად ლაპარაკობდა და სომხური ენიდან იწარმოა ყოველი ენა: ფრანგული, გერმანული, რუსული და სხვა ენები. ს. დოდაშვილი წერს: „ჩვენ არ ძალგვიძს ბაასი სომეხთა თანა, ვინაითგან იგინი უზნობენ, რომელ თვით ადამ ლაპარაკობდა სომხურს და სომხურის ენიდამ იწარმოა ყველა ენა, ესე იგი ფრანცისკული, ნემცური, რუსული და სხვანი.“ (ქართველი რომანტიკოსები..., 1980: 65). ს. დოდაშვილი წერს, რომ „ძირი ენისა ჩვენისა უნდა იყოს საკუთარი. ესე სჩანს ყოველთა ძველთა წერილთაგან“ (იქვე, გვ. 65). ამის მტკიცებულებად მიაჩნია მას უმდიდრესი ქართული სასულიერო და საერო მწერლობა, როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური, რომლის სათავეში დგას შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. და ის ძალიან მოკლედ, სულ რაღაც 4-5 გვერდში მიმოიხილავს ქართულ მწერლობას დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნემდე.

გადავიდეთ არაბ რომანტიკოსებზე. ჩვენ შარშან, 2024 წელს „ენა და კულტურის“ შრომებში გამოვაქვეყნეთ სტატია „ჯიბრან ხალილ ჯიბრანი სალიტერატურო არაბული ენის შესახებ“, სადაც დეტალურად განვიხილეთ მწერლის მოსაზრებები არაბულ სალიტერატურო ენასთან დაკავშირებულ პრობლემებზე (იხ. მურმან ქუთელია, „ჯიბრან ხალილ ჯიბრანი სალიტერატურო არაბული ენის შესახებ“, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ენა და კულტურა“ შრომები, ქუთაისი, 2024). წინამდებარე სტატიაში წარმოგიდგენთ ჯიბრანის მოსაზრებების ძირითად მომენტებს.

ჯიბრანი (1883-1931) არის უპირველესი არაბთა შორის, რომელსაც ამ საკითხზე და იმ დროისთვის საზოგადოების წინაშე მდგომი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხები არ განეხილოს. მრავალ საკითხთა შორის აღსანიშნავია ენის პრობლემები, მისი ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებები, პოეტისა და ხელოვანის ადგილი და როლი საზოგადოებაში, მისი სოციალურ-პოლიტიკური თუ რელიგიურ-ფილოსოფიური საკითხები და მოგვცა ამ პრობლემების მოგვარების საკუთარი ხედვები. სალიტერატურო არაბულ ენასთან დაკავშირებული პრობლემები დაწვრილებით განიხილა ნარკვევში „არაბული ენის მომავალი“. ნარკვევში ჯიბრანი ეხება ზოგადად ენის არსს, რაზეა დამოკიდებული არაბული ენის მომავალი, ევროპული ცივილიზაციისა და დასავლური სულის გავლენა არაბულ ქვეყნებზე და შესაბამისად არაბულ ენაზე, თანამედროვე პოლიტიკური მოვლენების ზემოქმედება, უმაღლეს და საშუალო სკოლებში არაბული ენის სწავლება, იკითხება თუ არა ყველა საგანი მშობლიურ ენაზე, რა გავლენას ახდენს ეს ერის

სულიერ და კულტურულ განვითარებაზე. დიალექტების როლი სალიტერატურო არაბული ენის გამდიდება-განვითარებაში, რა არის საუკეთესო საშუალება არაბული ენის გამოცოცხლებისთვის, პოეტისა და მიმზამველის როლი არაბული ენის განვითარებაში და ა.შ.

როგორ აქვს ჯიბრანს, როგორც მწერალსა და მოაზროვნეს, წარმოდგენილი არაბული ენა წარსულში, თანამედროვე პერიოდში და მისი მომავალი. უპირველესად, ჯიბრანი ცდილობს განსაზღვროს ზოგადად ენის როლი და ადგილი ამა თუ იმ ერის განვითარებაში. მისი აზრით, ენა წარმოადგენს ხალხის ერთად ჩამოყალიბებისა და განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას, ამ ერის შემოქმედებითი ძალის გამოვლენის ერთ-ერთ მთავარ სახეს. ის თვლის, რომ ამ მომენტისთვის მართალია არაბთა შემოქმედებით ენერგიას დაუფლება ძილი, მაგრამ დადგება დრო ამ ენერგიის გამოვლიძებისა. როცა ეს მოხდება, არაბული ენის მომავალი იქნება ისევე დიადი, როგორც წარსულში (Джебран, 1986: 5).

ჯიბრანი სვამს კითხვას: როგორი შეიძლება იყოს ევროპული ცივილიზაციისა და დასავლური სულის გავლენა არაბულ ენაზე. ეს შეიძლება დადებითიც იყოს და უარყოფითიც, მთავარია შევძლებთ თუ არა მის გამოყენებას სწორი მიმართულებით.

ჯიბრანს აინტერესებს, რომ ყველგან არაბული ქვეყნების უმაღლეს და საშუალო სკოლებში თუ მიმდინარეობს სწავლება არაბულ ენაზე, ყველა საგანი იკითხება თუ არა ამ ენაზე. ეს ფაქტი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სალიტერატურო არაბული ენის მომავალს. საწუხაროდ, მწერალი ხედავს, რომ არაბული ენა არ წარმოადგენს არაბულ ქვეყნებში სწავლების ძირითად ენას. სწავლების საბაზისო ენად მაშინ გახდება ის, როდესაც სკოლები გადავა საქველმოქმედო საზოგადოებების, კონფესიური კომიტეტების და რელიგიური მისიების ხელიდან სახელმწიფოს ხელში. (Джебран. 1986: 420). მისი მტკიცებით, თუ წავიყვანთ სწავლებას მხოლოდ არაბულ ენაზე როგორც უმაღლეს, ისე საშუალო სკოლებში, ახალგაზრდები მიიღებენ განათლებას არაბულ ენაზე, მაშინ ჩვენი პოლიტიკური სიმპათიები გახდება ერთიანე და ჩამოყალიბდება ჩვენი თვითშეგნება და ეროვნული ინტერესები, რადგანაც სკოლებში ყალიბდება ეროვნული სული, პატრიოტიზმი და სამშობლოსთვის თავდადება.

ჯიბრანი სალიტერატურო არაბული ენის განვითარებაში დიდ როლს ანიჭებს დიალექტებს. სალიტერატურო ენა საზრდოობს დიალექტებით. სალიტერატურო ენა უამრავი არაბული დიალექტებიდან ამოიღებს მის საუკეთესო ნაწილს და ამ გზით გააერთიანებს მათ. ჯიბრანი წერს, რომ დიალექტებში არსებული ხალხური თქმები სახეს იცვლიან, ვითარდებიან, იხვეწებიან, შეერწყმიან სალიტერატურო ენის სხეულს და ხდებიან მისი განუყრელი ნაწილი. სალიტერატურო ენა დიალექტებით იკვებება, იღებს მისგან მის საუკეთესოს, მდიდრდება, ვითარდება და სრულყოფილებას აღწევს. ამ პროცესში უდიდესი წვლილი მიუძღვით ხელოვნების მუშაკებს, უპირატესად, პოეტებს და მწერლებს (Джебран, 1986: 422).

ჯიბრანი ეძებს გზებს სალიტერატურო არაბული ენის გამოსაცოცხლებლად. ამის განსახორციელებლად ის გადამწყვეტ როლს აკისრებს შემოქმედ ადამიანებს, კერძოდ, პოეტებს და მწერლებს, ხელოვნებაში მოღვაწე ადამიანებს, რადგანაც ესენი არიან ენისთვის მამაც და დედაც. ენა მათი მორჩილია, მათ კვალზე მოძრაობს, ჩერდება მათთან ერთად, კვდება პოეტი და ენაც გოდებს მის საფლავზე, ელოდება რა მეორე პოეტს, რომელიც წამოაყენებს და ხელში ატატებულს წაიყვანს (Джебран, 1986: 423).

სალიტერატურო ენაზე მსჯელობისას ჯიბრანი წამოჭრის მიმზადებელის როლის საკითხს. მას მიაჩნია, რომ ჭეშმარიტი პოეტი თუ შემქმნელი და შემოქმედია ენისა, მიმზადებელი, საპირისპიროდ პოეტისა, არის ენისთვის სუდარის მქსოველი და მესაფლავე მისი (Gibran, (s.d.): 561).

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ჯიბრანი დაასკვნის, რომ ენის სიცოცხლე, მისი საყოველთაო გამოყენება და, საერთოდ, რაც მასთან არის დაკავშირებული, იყო, არის და მუდამ იქნება პოეტის ფანტაზიის საწინდარი. ჯიბრანი მოუწოდებს შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს უარი თქვან წინმავლების ნაბიჯების ურყევ და ბრმა მიყოლაზე, პოეტებისთვის და არაბული ენისთვის უკეთესია მათივე ფანტაზიით შექმნილი უბრალო და მარტივი მოთხრობები და ლექსები, ვიდრე გადმოღებული საყოველთაოდ აღიარებული დასავლური წიგნებიდან (Джебран, 1986: 425).

ლიტერატურა

1. ორბელიანი გრიგოლ, ტ.1, 2013, თბილისი
2. ქართველი რომანტიკოსები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, 1980, თბილისი
3. ქართული ენა და ლიტერატურა, XI კლასი, მოსწავლის წიგნი, 2020, თბილისი
4. ქუთელია მურმანი, 2024: ჯიბრან ხალილ ჯიბრანი სალიტერატურო არაბული ენის შესახებ, IX საერთაშორისო (დისტანციური) სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“ შრომები, ქუთაისი
5. Джебран Халиль Джебран. 1986: Избранное, Ленинград
6. Gibran Khalil Gibran, (s. d.): Al-Majmuatu al- kamilatu li mualafatihi, Bairut (in Arabic)

Murman Kutelia

Ilia State University G. Tsereteli Institute of Oriental Studies

Murmank@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.80>

Georgian and Arab Romantics about Literary Language

Abstract

Among the Georgian romantics, Grigol Orbeliani and Aleksandre Orbeliani express the most interesting and insightful views on the Georgian language and related problems.

In general, the literary and aesthetic views of the Georgian romantics have been forming since the 1930s. Since there were no printed publications in Georgia at that time, where they could have recorded their theoretical views, most of them did not have the living conditions (e.g. Nikoloz Barathishvili), did not have time, etc., and they were poets and did not have the necessary in-depth theoretical education, so their literary and aesthetic views can be read mainly in their poems and personal letters.

According to Grigol Orbeliani, language is the foundation of a nation's glory, the main basis for its formation and development. And not caring about it will inevitably lead to the downfall of the nation and the country (see the poem "The Answer of the Sons").

Alexander Orbeliani distinguishes three languages in Georgian: church (religious), middle, and peasant. Based on the analysis, he comes to the conclusion that the middle language should be chosen as the Georgian literary language, as it is understandable and acceptable to everyone, the language in which "Visramiani", "Sibredzne-sotsruisa" and, most importantly, "Pepkhistaosani" were written. At the same time, he was such a progressive-minded person that he was actually the first to raise the issue of the necessity of criticism (the same issue would be raised by Mamia Guriel, and later by Ilia Chavchavadze), as well as the need to collect and transcribe Georgian folk poems.

The article discusses Gibran's views on the essence of language in general, on what factors the future of the Arabic language depends, the influence of European civilization and the Western spirit on Arab countries and, accordingly, on the Arabic language, the impact of modern political events on the language, the problems of teaching Arabic in high and secondary schools, whether all subjects are taught in the native language and what impact this has on the spiritual and cultural development of the nation, the impact of dialects on literary Arabic, what is the best way to revive the Arabic language, the role of the poet and the imitator in the development of the Arabic language, etc. In parallel, Gibran talks to us about the formation and development of a nation, the positive and negative sides of the relationship between the West and the East, etc.

Key words: Georgian Romantics, Arab Romantics, Literary Language